000000-00-0-000000000000

Digitally signed by
Municipal Development
Fund of Georgia
Date: 2020.08.06
16:41:06 +04'00'

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანში (ს/კ N 56.09.43.194 ), ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის**
**ო ქ მ ი N1**

სატენდერო კომისიის სხდომა ჩატარდა ქალაქ თბილისში, საკონფერენციო კავშირის მეშვეობით

**სატენდერო კომისიის შემადგენლობა:**
**გიორგი შენგელია** - სატენდერო კომისიის თავჯდომარე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.
**დავით ტაბიძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე, პროგრამის მენეჯერი.
**ლევან შარვაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსური დეპარტამენტის უფროსი.
**ნუცა დათუაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, პროგრამის მენეჯერი.
**გიორგი კარტოზია** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი.
**პაატა იაკობაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი.
**თარხან ლომთათიძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი.
**ნიკოლოზ დოლიძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.
**გრიგოლ ფერაძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი.
**ზურაბ კოტორაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.
**ბექა თორია** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის მენეჯერი.
**აკაკი დევიძე** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის მენეჯერი.
**გიორგი ბარიშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური დეპარტამენტის ფინანსური აღრიცხვის მენეჯერი.
**ირაკლი ფარესიშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის მდივანი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.
**სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:**
**ირაკლი თუშურაშვილი** – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის სპეციალისტი.

**დღის წესრიგი:**

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანის (ს/კ N 56.09.43.194 ) Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდის განსაზღვრა და სატენდერო პირობების დამტკიცება.

**მოისმინეს:** სატენდერო კომისიის წევრის პაატა იაკობაშვილის ინფორმაცია - სამშენებლო სამუშაოების დროულად ჩატარების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე - სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის მიერ მომზადდა ტექნიკური დავალება, რომელიც გულისხმობს ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ე.წ. Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების მიწოდებას სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანში (ს/კ N 56.09.43.194 ).
საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებას და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ტექნიკური დავალების შემუშავებისას, ასევე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაანგარიშებისას გამოყენებული იქნა ანალოგია სოფ. ჭანიეთის სკოლაზე წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციიდან. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრა 15 კალენდარული თვე, მათ შორის დეტალური პროექტის მომზადებისთვის განსაზღვრული არის არაუმეტეს 4 თვე, ხოლო სამშენებლო სამუშაოებისთვის 11 თვე. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დაანგარიშებული იქნა არსებული ანალოგიაზე დაყრდნობით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებისა და საპროექტო მომსახურებისთვის მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოთა ფასთა კრებულში მოცემული მონაცემების გათვალისწინებით. კერძოდ, სოფელ ჭიანეთის საჯარო სკოლის სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების თანახმად სამშენებლო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1826880 ლარს, 2016 წლის II კვარტალთან შედარებით მასალების და მუშახელის ხელფასების გაძვირების გამო კოეფიციენტი „კ“ განისაზღვრა 1,10-ით, შესაბამისად თითოეული საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1826880.0 ლარით (1660800X1.1=1826880). რაც შეეხება საპროექტო მომსახურების ღირებულებას, მისი დაანგარიშება განხორციელდა დასაპროექტებელი ობიექტის სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულებისა და საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის მინისტრის 1997 წლის "მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების ფასთა კრებული"-ს მიხედვით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე. კერძოდ, სამუშაო პროექტის ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნა "მშენებლობისათვის საპროექტო სამუშაოების ფასთა კრებული"-ს ცხრილი 3, -ობიექტის ნომენკლატურა, განათლების ობიექტების 7.2. კატეგორია 3. თავი 1. ცხრილი N1 საპროექტო სამუშაოთა ღირებულება %-ში 1,827 მილიონი ლარისთვის ინტერპოლაციით არის 3,658%. შესაბამისად სამუშაო პროექტის ღირებულება განისაზღვრა 66 827 ლარის ფარგლებში (1826880,0X3,658/100=66827,0 ლარი.). ესკიზური პროექტის ღირებულება დაანგარიშებული იქნა საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან 10%-ის ფარგლებში (თავი. 2 პუნქტი .2.5) და შეადგინა 6 683 ლარი (66827,0X0.1=6683,). ტექნიკური დავალებით ასევე გასატარებელი არის ცალკეული ღონისძიებები (ტოპოგრაფია, გეოლოგია, საპრ. სამუშ, ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა) რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 840 ლარს. შესაბამისად საპროექტო მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 78350 ლარით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 1,905,230 ლარის ფარგლებში (1826880,0+78350.0=1905230.0).

**სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს:**
მიზანშეწონილია შესყიდვის ობიექტზე (სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანის საჯარო სკოლა (ს/კ N 56.09.43.194 ) ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 39-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების

შესაბამისად, ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე.

**დაადგინეს:**
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, (სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანის საჯარო სკოლა (ს/კ N 56.09.43.194) ელექტრონული ტენდერის პროცედურა ჩატარდეს ამავე წესის 39-ე მუხლით გათვალისწინებული მეთოდით, ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე NAT აბრევიატურით.

**მოისმინეს:** სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ირაკლი თუშურაშვილის ინფორმაცია - ელექტრონული ტენდერის პირობების, კერძოდ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. ირაკლი თუშურაშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული სატენდერო პირობების პროექტი.

**განიხილეს:** ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები, სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად მისაღებად ჩათვალეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და სატენდერო დოკუმენტაციებით გათვალისწინებული პირობები და ძირითადი და მნიშვნელოვანი სატენდერო პირობების დასაბუთების მიზნით აღნიშნეს:
1.შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების გათვალისწინებით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განსაზღვრულია არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
2.შესყიდვის ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში უნდა განხორციელდეს, როგორც საპროექტო მომსახურება (CPV 71200000) ასევე, მომზადებული პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოების (CPV 45200000) შესყიდვა. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა CPV კოდის ფარგლებში შეუძლებელი არის ერთი შესყიდვის განხორციელება, მიზანშეწონილი არის შესყიდვის პროცედურის გამოცხადების დროს გამოყენებულ იქნას იმ ობიექტის CPV კოდი, რომლის სავარაუდო ღირებულებაც უფრო მაღალია, შესაბამისად მიზანშეწონილი არის ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნების განმსაზღვრელი კლასიფიკატორის CPV 45200000 დანაყოფის ფარგლებში, კერძოდ CPV 45214200 კლასიფიკატორის კოდით.
3. შესყიდვის ობიექტის დაფინანსება განსაზღვრულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.
4.შესყიდვის ობიექტზე წინადადებების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს დამატებითი ღირებულების გადასახადის (დ.ღ.გ.) ჩათვლით, ხოლო წინადადების ფასის კლების ბიჯის ოდენობა განსაზღვრულია 19,052 ლარის ოდენობით.
5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განსაზღვრულია 15 (თხუთმეტი) კალენდარული თვით, მათ შორის დეტალური პროექტის მომზადებისთვის განსაზღვრული არის არაუმეტეს 4 თვე, ხოლო სამშენებლო სამუშაოებისთვის 11 თვე.
6. შესყიდვის ობიექტის მოცულობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართებით (ტექნიკური დავალება დანართი №2 და ტექნიკური დავალების დანართები№2-1 და №2-2 დეტალური და ზოგადი სპეციფიკაციები).
7. შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით პრეტენდენტებისათვის დროულად ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განცხადების დამატებითი ინფორმაციის ველში გათვალისწინებულია ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის დასახელების და შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადების შესახებ.
8.ტექნიკური დავალება განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N2 და სატენდერო დოკუმენტაციის დანართების (დანართები №2-1 და №2-2 დეტალური და ზოგადი

სპეციფიკაციები) სახით.
9. შესყიდვის ობიექტის წინადადების ფასის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს დანართის #1 (ფასების ცხრილი) თანახმად, რომელიც შედგება 2 პუნქტიდან - „საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის დამუშავება“ და „სამშენებლო სამუშაოები“, ამასთანავე შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაანგარიშების გათვალისწინებით, ფასების დანართში #1(ფასების ცხრილი) მითითებული არის, რომ საჯარო სკოლის შენობის დეტალური პროექტის ღირებულება დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით (დ.ღ.გ.) არ უნდა აღემატებოდეს საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 4,1%-ს.
10.პრეტენდენტის გამოცდილების მოთხოვნა განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის და მოცულობის გათვალისწინებით, მოთხოვნის ჩამოყალიბება განისაზღვარა ორი კომპონენტის ფარგლებში:
**კომპონენტი N1-** პრეტენდენტს 2015 წლის პირველი იანვრიდან, ტენდერისთვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში მიწოდებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციით მოწყობილი სამოქალაქო ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობ(ებ)ის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის სამუშაოების საპროექტო მომსახურება, რომელიც სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციების, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ექსტერიერის მოპირკეთების სამუშაოების საპროექტო მომსახურებას. მიწოდებული მომსახურების ღირებულება არაუმეტეს 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარს.
**კომპონენტი N2-** პრეტენდენტს 2015 წლის პირველი იანვრიდან, ტენდერისთვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში შესრულებული უნდა ქონდეს არანაკლებ III კლასის რკინა-ბეტონის კონსტრუქციით მოწყობილი სამოქალაქო ან საზოგადოებრივი დანიშნულების შენობ(ებ)ის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის სამუშაო, რომელიც სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს რკინა-ბეტონის მზიდი კონსტრუქციების, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ექსტერიერის მოპირკეთების სამუშაოებს. მიწოდებული სამუშაოების ღირებულება არაუმეტეს 1 (ერთი) ხელშეკრულების ფარგლებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარს, ამასთანავე სამუშაო სავალდებულოდ მიწოდებული უნდა იყოს საქართველოს, ევროკავშირის (EU) ან OECD-ს წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ((EU) ან OECD-ს შემთხვევაში ჩაითვლება ყველა წევრი ქვეყანის ტერიტორია გარდა საკუთარი ქვეყნის ტერიტორიისა).
სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად განმარტებული არის OECD-ს წევრის ქვეყნების ჩამონათვალი, კომპონენტით N1 გათვალისწინებული სამუშაოს შინაარსი, ანალოგიური სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები და მათი წარმოდგენისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები.
11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრა გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულების შორის 20%-ით ან მეტი ოდენობით სხვაობის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის ოდენობა განსაზღვრულია გასაფორმებელი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის შინაარსი დამატებით მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართშ№5.
12. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესყიდვა ხორციელდება ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით და არ არის მოთხოვნილი დეტალურად ჩაშლილი ხარჯთაღრიცხვა წინადადების ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის 20%-ით ან მეტი ოდენობით სხვაობის შემთხვევაში სატენდერო პირობებით არ არის მოთხოვნილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება.
13. ანგარიშსწორების ზოგადი პირობები მოცემული არის დოკუმენტაციის 7.1.1.; 7.2. და 7.3. პუნქტებში ხოლო დეტალური პირობები მოცემული არის ხელშეკრულების პროექტში, რომელიც წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს.
14. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად არ მოითხოვება სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი.

**დაადგინეს:**

1.Design-Build მეთოდით 90 მოსწავლეზე გათვლილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქვ.მაჩხაანის საჯარო სკოლის (ს/კ N 56.09.43.194 ) დეტალური პროექტის მომზადებისა და მის საფუძველზე

სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს NAT აბრევიატურით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის უზრუნველყოს წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის ატვირთვა და ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების (ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია) რეგისტრაცია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

ლევან შარვაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დირექცია

ნუცა დათუაშვილი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

დირექცია

გიორგი კარტოზია

დეპარტამენტის უფროსი

შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი

პაატა იაკობაშვილი

სამსახურის უფროსი

პროექტების შეფასების სამსახური

თარხან ლომთათიძე

დეპარტამენტის უფროსი

მშენებლობის ზედამხედველობის დეპარტამენტი

ზურაბ კოტორაშვილი

დეპარტამენტის უფროსი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ბექა თორია

პროგრამის მენეჯერი ADB

დირექცია

ირაკლი ფარესიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

შესყიდვების დეპარტამენტი

ერეკლე თუშურაშვილი

შესყიდვების სპეციალისტი

შესყიდვების დეპარტამენტი